

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

ინფორმაცია იურიდიული პირის ან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის შესახებ

სახელწოდება	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი	204864548
მისამართი	ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 1
საკონტაქტო პირი	ქეთევან ცინცაძე
ელექტრონული ფოსტა	tsuLLL@tsu.ge
საკონტაქტო ტელეფონი	222 36 52      577 248 848

ზოგადი მონაცემები პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ინოვაციური საკითხები მათემატიკის პროგრამაში (პროფესიული ცოდნა სასკოლო რეფორმის კონტექსტში).
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მოამზადოს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მათემატიკის იმ ნაწილში, რომლებიც არატრადიციულია სასკოლო პროგრამაში, მაგრამ აუცილებელია მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით.
პროგრამის შედეგი	პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი გაიღრმავებს მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებულ აუცილებელ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარება სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით დაძლევაში.
პროგრამის მოკლე აღწერა - ძირითადი მიმართულებები, რომლებსაც მოიცავს პროგრამა	1. ლოგიკა, ალგებრა და ანალიზის საწყისები: გამონათქვამთა ალგებრა, დედუქციური მსჯელობა; ასახვა, ასახვის გრაფიკი, ასახვათა უმარტივესი კლასიფიკაცია; ფუნქცია, ფუნქციის გრაფიკი; რიცხვითი მიმდევრობები; ფუნქციის ზღვარი, ფუნქციის უწყვეტობა; ფუნქციის წარმოებული; ფუნქციის

	<p>გამოკვლევა წარმოებულის გამოყენებით; ფუნქციის ინტეგრება; კომპლექსური რიცხვები.</p> <p>2. კლასიკური და ანალიზური გეომეტრია: გრაფები; გეომეტრიული გარდაქმნები, მოძრაობა; გეომეტრიული გარდაქმნები სივრცეში, მოძრაობა სივრცეში; ვექტორები; ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სიბრტყეზე; ანალიზური გეომეტრიის ელემენტები სივრცეში; ელემენტარული წარმოდგენები არაევკლიდური გეომეტრიების შესახებ.</p> <p>3. ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი: კომბინატორიკის ელემენტები; ალბათობის სხვადასხვა განმარტებები; რთულ (შედგენილ) ხდომილებათა ალბათობების გამოთვლის მეთოდები; შემთხვევითი სიდიდე და მისი რიცხვითი მახასიათებლები; მონაცემთა თვალსაჩინო წარმოდგენის ხერხები; შერჩევითი რიცხვითი მახასიათებლები.</p>
<p>მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელსაც შეესაბამება პროგრამა</p>	<p>პროგრამის მიზანი შეესაბამება მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტს.</p> <p>თავი XIV საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 33 საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები, მუხლი 34 საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა.</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>გრიგოლ სოხაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ.: 2303570 ( სამს.), მობ.: 597222882, e-mail: <a href="mailto:ginasokhil@i.ua">ginasokhil@i.ua</a></p>
<p>პროგრამის შემუშავების თარიღი</p>	<p>2012 წელი</p>
<p>პროგრამის მოცულობა ECTS-კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით</p>	<p>2 ECTS კრედიტი (30 საკონტაქტო, 20 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ – 50 საათი).</p>
<p>პროგრამის ხანგრძლივობა/განაწილება დროში</p>	<p>სამი კვირა, 30 საკონტაქტო საათი, 20 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.</p>

	<p>I კვირა – 10 საკონტაქტო საათი, (2 სატრენინგო დღე)</p> <p>II კვირა – 10 საკონტაქტო საათი, (2 სატრენინგო დღე)</p> <p>III კვირა – 10 საკონტაქტო საათი (2 სატრენინგო დღე).</p> <p>შუალედში – 20 საათი დამოუკიდებელი მუშაობა.</p> <p>თითოეული მიმართულების დასრულების შემდეგ ჩატარდება იმიტირებული გამოცდა აღნიშნული მიმართულებით, ხოლო კურსის დასრულების შემდეგ ერთიანი გამოცდა, რომლის შინაარსი სრულად დაფარავს გასული წლების მათემატიკის მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე წარმოდგენილ ინოვაციურ თემატიკას და მომავალი გამოცდების სავარაუდო ტენდენციებს.</p> <p>შესაძლებელია: კვირაში 3 სატრენინგო დღე (15 საკონტაქტო საათი) მიყოლებით + 2 კვირა დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად (20 დამოუკიდებელი სთ) + 3 სატრენინგო დღე (15 საკონტაქტო საათი).</p> <p>ტრენინგის დროში განაწილება დამოუკიდებელია მსმენელთა საჭიროებებზე.</p>
<p><b>პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი</b></p>	<p>პროგრამის მიზნობრივი ჯგუფია საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები ან შესაბამისი სპეციალობის დამადასტურებელი დიპლომის მქონე პირები.</p>
<p><b>პროგრამაში ჩართვის წინაპირობა</b></p>	<p>მათემატიკოსის, მათემატიკის მასწავლებლის, მათემატიკის ბაკალავრის, მათემატიკის მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული დიპლომის მქონე პირები. რომლებიც იცნობენ ეროვნულ სასწავლო გეგმას.</p>
<p><b>ტრენინგზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა</b></p>	<p>ჯგუფში მსმენელების მინიმალური რაოდენობა – 12, მაქსიმალური რაოდენობა – 24</p>
<p><b>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის (მწვრთნელების) რაოდენობა და ვინაობა</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გრიგოლ სოხაძე (თსუ პროფესორი);</li> <li>2. ილია თავხელიძე (თსუ პროფესორი);</li> <li>3. ომარ ფურთუხია (თსუ პროფესორი);</li> </ol>

	<p>4. რუსლან სურმანიძე (თსუ პროფესორი);</p> <p>5. ბაჩუკი მესაბლიშვილი (თსუ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი);</p> <p>6. პეტრე ბაბილუა (თსუ პროფესორი).</p>
<b>წლიური რეგიონული დაფარვა და გამტარიანობა</b>	დაფარული იქნება საქართველოს ყველა რეგიონალური ცენტრი მოთხოვნის შესაბამისად. წლის განმავლობაში ჩატარდება 18–24 ტრენინგი.
<b>პროგრამის გავლის საფასური</b>	80 ლარი
<b>ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ</b>	<p>მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ II, X და XI კორპუსებში.</p> <p>მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელებს პროფესიული განვითარების მიზნით შეეძლებათ ისარგებლონ თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, რომლებიც განთავსებულია თსუ II, X და XI კორპუსებში.</p> <p>ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო მულტიმედიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.</p> <p>მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკებით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო.</p>